პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

23. № 2809-17

# ლენინური კადრებისათვის

28 თებერვალი
1938 წ. № 5 (121)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა







## ორი დღესასწაული

...ნოსან საქართველოს მშრო-
...ხალხმა ამ დღეებში ორი დიდი
...ული თარიღი აღნიშნა — ორ-
...იული განიცადა: ერთი მხრით
...აწაულობს მთელი საბჭოთა
...ოველთაო სახალხო დღესას-
...ძლიერი საბჭოთა ხალხის
...პირმშოს, სოციალიზმის
...დო დამცველის ფხიზელი
...ი წითელი არმიისა და სამ-
...ვაო ფლოტის 20 წლის
... მეორეს მხრით ქართველი
...თავისუფლების 17 წლის

...ინად დიდმა **ლენინმა** ხელი
...ეკრეტს წითელი არმიისა და
... - საზღვაო ფლოტის შექმნის
... ოქტომბრის დიდი სოციალის-
...რევოლუციისა და სამოქალაქო
...რიშხლიან დღეებში პროლეტა-
...რევოლუციის დიდმა გენიოსებმა
...ინმა და სტალინმა შექმნეს გან-
...ფლებული საბჭოთა ხალხის წი-
...არმია და სამხედრო-საზღვაო
..., რომელმაც სამოქალაქო ომის
...დღეებში სახელოვნად დაიცვა
...ა ახალგაზრდა რესპუბლიკა
... ინტერვენტთა და შინაურ
...რევოლუციურ ძალთა შემო-
...ან.
...ქალაქო ომის წლებში ახალგა-
...ითელმა არმიამ და სამხედრო
... ფლოტმა დაამარცხეს 14 სა-
...ფოს — უცხოელ ინტერვენტე-
...ა რუსეთის კონტრრევოლუციუ-
...არგვარდიელების გაერთიანებუ-
...არალებული ძალები.
...ნისა და სტალინის გენიით შექ-
... წითელმა არმიამ, ჩვენი დიადი
...ის მიწა-წყლიდან განდევნა

უცხო ქვეყნების დამპყრობელი ურდო-
ები: მათ უკუაქციეს ანტანტის სამი ლა-
შქრობა, მოსპეს დენიკინის, კოლჩაკის,
ვრანგელისა და სხვ. გენერლების ბან-
დები.

მთელმა მსოფლიომ იცის ცარიცინისა და პერეკოპის გმირების სახელები, მათი გმირული გამარჯვება. მთელი ქვეყანა იცნობს ცხენოსანთა პირველი ლაშქრობის გმირებს, პეტროგრადის თავდაცვის გმირებს, ბალტიის ფლოტის, დონისა და ციმბირის ტაიგის გმირებს, ჩაპაევსა და შჩორსის ათასეულთა გმირებს.

წითელი არმია და სამხედრო საზღვაო ფლოტი იბრძოდა ჩვენი დიადი სამშობლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის სამოქალაქო ომის წლებში და მათ ბრწყინვალედ შეასრულეს ეს ამოცანა იმიტომ, რომ წითელი არმია შეიქმნა და ჩვენი ქვეყნის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში იწრთობოდა კაცობრიობის უდიდესი გენიოსების მიერ — ლენინისა და სტალინის მიერ. წითელი არმიის ყველა გმირული ბრძოლა და გამარჯვება განუყრელად დაკავშირებულია დიდი ლენინისა და სტალინის სახელთან.

უკვე 20 წელია რაც სახელოვანი წითელი არმია ფხიზლად სდგას სოციალიზმის დიადი მონაპოვრის სადარაჯოზე და მტკიცედ იცავს მას. საბჭოთა ხალხს უყვარს და ამაყობს თავისი წითელი არმიით იმიტომ, რომ ჩვენი წითელი არმია ხალხის სისხლ-ხორცთაგანია, იგი მშრომელი ხალხის არმიაა. ჩვენი წითელი არმია გმირულად იცავს და მომავალშიაც დაიცავს სოციალიზმის დიად ქვეყანას — საბჭოთა კავშირს ჩვენი ქვეყნის ყველა მტრისაგან.

მუდამ უნდა გვახსოვდეს და არ ვივიწყებდეთ დიდი ბელადის სიტყვებს.

„საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა-ავიაქიმი. საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა არავითარ „შემთხვევითობას" და ჩვენი გარეშე მტრების არავითარ ოინებს არ შევხვდეთ მოუმზადებელი" (სტალინი).

17 წლის წინათ საქართველოს რევოლუციურმა მუშათა კლასმა და გლეხობამ, დიდი რუსეთის პროლეტარიატის მხარდაჭერით, სამუდამოთ დაამხეს ბურჟუაზიულ - მემამულური, მენშევიკური ხელისუფლება და საბჭოთა წყობილება დაამყარეს.

ქართველი ხალხის ინტერესების გამყიდველი, უღღეური მენშევიკების სამწლიანი ბატონობის პერიოდში, საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა სრული დაცემა და კატასტროფა განიცადა. განადგურდა ქალაქის მრეწველობა, მოიშალა ტრანსპორტი, დაეცა სოფლის მეურნეობა. უფრო აუტანელი და მძიმე შეიქნა მუშათა კლასის მდგომარეობა. კვლავ უმიწაწყლოდ, მემამულეების ხელში დარჩა გლეხობა. გაუარესდა ქართველი ინტელიგენციის მდგომარეობა. მოიშალა და დაკნინდა სასწავლებლები.

მოთმინებიდან გამოსულმა მშრომელმა ხალხმა ბოლშევიკების პარტიის მეთაურობით მოსპო ქართველი ხალხის ინტერესების გამყიდველ ბრბოთა ბატონობა და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ტერიტორიაზე აფრიალა თავისუფლების დიადი დროშა.

17 წელი გვაშორებს ამ ისტორიულ თარიღს. ამ ხნის განმავლობაში ბოლშევიკებმა სავსებით უცვალეს სახე საქართველოს ჩამორჩენილ სახალხო მეურნეობას.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველო აგრარული ჩამორჩენილი წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყნიდან გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად, საბჭოთა კავშირის თვალმარგალიტად.

გაიზარდა და მაღალ საფეხურზე ავიდა ქალაქის მრეწველობა, საქართველოს ტერიტორია მოფენილია მრეწველობის უდიდესი გიგანტებით.

მთლიანად იცვალა სახე საქართველოს სოფლის მეურნეობამ. წინად ჩამორჩენილ, დაქუცმაცებულ მეურნეობის ნაცვლად ახლა გვაქვს სტალინურ წესდებაზე აგებული მძლავრი კოლექტიური მეურნეობანი.

აყვავდა და გაიფურჩქნა ორდენოსან საქართველოს ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება. დღეს საქართველოს 22 უმაღლესი სასწავლებელი, 200-დე სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტი და რამდენიმე ათასი დაწყებითი საშუალო სკოლა აქვს.

საბჭოთა საქართველოს 17 წელი ეს არის ქართველ ხალხთა თავისუფალი ცხოვრების, სოციალიზმის ზეიმის, გმირული ბრძოლებისა და გამარჯვების წლები.

ბედნიერი საბჭოთა საქართველოს ხალხი განსაკუთრებული მიღწევებით შეხვდა 17 წლის თავს. განვლილი წელი იყო უდიდესი სიხარულისა და ბედნიერების წელი. სულ რამდენიმე ხნის წინად ჩვენს ქვეყანაში, კაცობრიობის ისტორიაში პირველად, სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე მოხდა ყველაზე უფრო დემოკრატიული არჩევნები. უკვე ერთი თვე გავიდა მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირის ხალხის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ, უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

საბჭოთა ქვეყანა თავის მიღწევებს უმადლის მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს — დიდ **სტალინს**, რომლის მზრუნველობით და ყოველდღიური დახმარებით საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ბედნიერი და სამური ცხოვრება.

ორდენოსან საქართველოს მიღწევები მოპოვებული იქნა ქართველი ხალხის საყვარელი შვილის, სტალინის საუკეთესო მოწაფის ამხანაგ **ლ. ბერიას** ყოველდღიური და კონკრეტული ხელმძღვანელობით.

სოციალიზმის ქვეყნის დიადი გამარჯვება ცოფსა ჰგვრის პირსისხლიან ფაშიზმს, ტროცკისტ-ბუხარინელ ნაძირალებს. ხალხის ამ საზიზღარ მტრებს სურდათ საბჭოთა ხალხისათვის წაერთმიათ მიღწევები და კვლავ აღედგინათ ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობა. მაგრამ მათ დანაშაულზე წაასწრეს. მძლავრი საბჭოთა ხალხის რისხვა თავზე დაატყდა მათ და გაანადგურა სოციალიზმის მტრები.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ მათ ბედნიერი და სამური ცხოვრება ლენინ-სტალინის პარტიამ მოუპოვა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება. ამიტომ საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ერთგულია თავისი პარტიისა და ხელისუფლებისა.

დაე კიდევ უფრო გაიზარდოს და გაძლიერდეს ჩვენი დიადი ქვეყანა!

დიდება სოციალიზმის ქვეყნის უძლეველ წითელ არმიას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. ე. ვოროშილოვი

# ცარიცინი*

ამხანაგმა სტალინმა თავისი სამხედრო მუშაობა ცარიცინის ფრონტზე დაიწყო, და ეს თითქმის შემთხვევით მოხდა. 1918 წ. ივნისის დამდეგს ამხანაგი სტალინი წითელარმიელთა რაზმით და ორი ჯავშნიანი ავტომობილით მიემართება ცარიცინისკენ, როგორც სამხრეთ რუსეთის მთელი სასურსათო საქმის ხელმძღვანელი. ცარიცინში იგი ხედავს წარმოუდგენელ ქაოსს, არა მარტო საბჭოთა, პროფესიულ და პარტიულ ორგანიზაციებში, არამედ უფრო მეტ არევდარევასა და აბნეულობას სამხედრო სარდლობის ორგანოებშიც. ამხანაგი სტალინი ყოველ ნაბიჯზე აწყდება საერთო ხასიათის დაბრკოლებებს, რომელნიც ხელს უშლიან მას შეასრულოს თავისი პირდაპირი ამოცანა. ეს დაბრკოლებანი გამოწვეული იყო, პირველ ყოვლისა, ყაზახთა სწრაფად მზარდი კონტრრევოლუციით, რომელიც მაშინ უხვ დახმარებას იღებდა გერმანელ ოკუპანტებისაგან. ამ უკანასკნელებს დაჭერილი ჰქონდათ უკრაინა. ყაზახთა კონტრრევოლუციური ბანდები მალე იპყრობენ ცარიცინის მახლობელ პუნქტებს და ამით არა მარტო გვისპობენ შესაძლებლობას გეგმაშეწონილად ჩავატაროთ პურის დამზადება დამშეული მოსკოვისა და ლენინგრადისათვის, არამედ ჰქმნიან ცარიცინისთვისაც მეტად დიდ საფრთხეს.

ამ დროს უკეთესი მდგომარეობა არ არის სხვა ადგილებშიაც. მოსკოვში ხდება მემარცხენე ესერების აჯანყება, აღმოსავლეთით გვღალატობს მურავიოვი, ურალზე ვითარდება და მაგრდება ჩეხო-სლოვაკთა კონტრრევოლუცია, განაპირა სამხრეთით — ბაქოსკენ ინგლისელები მოიწევენ. ყველაფერი ცეცხლის რკალში იწვის. რევოლუცია უდიდეს განსაცდელშია, ლენინისაგან დეპეშა დეპეშაზე მოდის მავთულებით ცარიცინისკენ ამხანაგ სტალინთან და სტალინისაგან ლენინთან. ლენინი აფრთხილებს საშიშროებათა შესახებ, ამხნევებს, გადამწყვეტ ზომებს მოითხოვს. ცარიცინის მდგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. ვინიცობაა დონზე აჯანყება მოხდეს და ცარიცინი დავკარგოთ, ჩვენ მოგველის პურის მწარმოებელი მთელი მდიდარი ჩრდილო-კავკასიის დაკარგვა. და ამხანაგ სტალინს ეს მკაფიოდ ესმის, როგორც გამოცდილი რევოლუციონერი, იგი მალე რწმუნდება, რომ მის მუშაობას რაიმე აზრი მხოლოდ იმ პირობით ექნება, თუ იგი შესძლებს გავლენის მოხდენას სამხედრო სარდლობაზე, რომლის როლიც ამ პირობებში გადამწყვეტი ხდება.

„ჯერ კიდევ აღდგენილი არ არის ხაზი ცარიცინის სამხრეთით“, — სწერს იგი ლენინს 7 ივლისის ბარათში დამახასიათებელი წარწერით: „ფრონტზე ვიჩქარი, მხოლოდ საქმეზე ვიწერები“. — „ვერეკები და ვლანძღავ ყველას, ვისაც ეკუთვნის; იმედი მაქვს მალე აღვადგენთ. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ არ დავინდობთ არავის — არც საკუთარ თავს, არც სხვებს და პურს მაინც მოგცემთ. ჩვენს სამხედრო „სპეციალისტებს“ (ფინაჩებს!) რომ არ ეძინოთ და არ უსაქმურობდნენ, ხაზი გაწყვეტილი არ იქნებოდა; და თუ ხაზი აღდგება, ეს სამხედროთა მეოხებით კი არ იქნება, არამედ მათ უნებურად“.

ლენინს აფიქრიანებს მემარცხენე ესერების შესაძლებელი გამოსვლა ცარიცინში; სტალინი უპასუხებს ამაზე ლენინს და წერს მოკლედ, მაგრამ მტკიცედ და ნათლად:

„რაც შეეხება ისტერიულებს, დარწმუნებული იყავით, ჩვენ ხელი არ აგვიკანკალდება, მტერთან მტრულად მოვიქცევით“.

ამხანაგი სტალინი, რაც უფრო მეტად უკვირდება სამხედრო აპარატს, უფრო რწმუნდება მის სრულ უმწეობაში და იმაშიც, რომ განსაზღვრულ ნაწილს აშკარად არ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა გათავხედებულ კონტრრევოლუციას.

და უკვე 1918 წ. 11 ივლისს ამხანაგი სტალინი ტელეგრაფით ატყობინებს ლენინს:

„საქმეს ის ართულებს, რომ ჩრდილო-კავკასიის ოლქის შტაბი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებთან სრულიად შეუგუებელი გამოდგა. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ჩვენს „სპეციალისტებს“ ფსიქოლოგიურად არ შესწევთ კონტრრევოლუციასთან გადამწყვეტი ომის უნარი, არამედ იმაშიც, რომ ისინი, როგორც „შტაბის“ მუშაკები, რომელთაც მარტო „ნახაზების ხაზვა“ და გადაჯგუფების გეგმების მოცემა იციან, აბსოლუტურად გულგრილნი არიან ოპერატიული მოქმედებისადმი... და საერთოდ თავს გრძნობენ, როგორც გარეშე ადამიანები, როგორც სტუმრები. სამხედრო კომისრებმა ვერ შესძლეს ხარვეზის შევსება...“

ამხანაგი სტალინი არ კმაყოფილდება ამ გამანადგურებელი დახასიათებით; ამავე ბარათში იგი აკეთებს თავისთვის ქმედს დასკვნას:

„მე უფლება არა მაქვს გულგრილად ვუყურო ამას, როდესაც კალნინის (მაშინდელი სარდალი ჩრდილო-კავკასიაში—კ. ვ.) ფრონტი მოწყვეტილია მომარაგების პუნქტს, ხოლო ჩრდილოეთი — პურის რაიონს. მე მოვახდენ ადგილებზე ამ და სხვა მრავალი დეფექტის გამოსწორებას, მე ვიღებ და მივიღებ მთელ რიგ ზომებს, იქამდეც კი, რომ გადავაყენებ საქმის დამღუპველ მოხელეებს და მეთაურებს, მიუხედავად ფორმალური დაბრკოლებებისა, რომელთაც აუცილებლობის პირობებში დავამსხვრევ. ამასთანავე, ცხადია, ჩემს თავზე ვიღებ მთელს პასუხისმგებლობას ყველა უმაღლესი დაწესებულების წინაშე“.

მდგომარეობა უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა. ამხანაგი სტალინი კოლოსალურ ენერგიას ანვითარებს და სულ მოკლე ხანში, სასურსათო საქმის საგანგებო რწმუნებული, — იგი ხდება ცარიცინის ფრონტის მთელი წითელი ძალების ფაქტიურ ხელმძღვანელად. ეს მდგომარეობა თავის გაფორმებას იღებს მოსკოვში და ამხანაგ სტალინს ეკისრება ამოცანები:

„დაამყაროს წესრიგი, გააერთიანოს რაზმები რეგულარულ ნაწილებად, დააწესოს მართებული სარდლობა, გააგდოს ყველა ურჩი“ (რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს დეპეშიდან წარწერით: „ეს დეპეშა იგზავნება ლენინთან შეთანხმებით“).

ამ დროისათვის ცარიცინში მიდის უკრაინის რევოლუციური არმიების ნაშთები, რომელნიც, გერმანიის ჯარებისაგან შევიწროვებულნი, უკან იხევენ დონის ველებით.

ამხანაგ სტალინის მეთაურობით იქმნება რევოლუციური - სამხედრო საბჭო, რომელიც იწყებს რეგულარული არმიის შედგენას. ამხანაგ სტალინის დაუცხრომელმა ბუნებამ, მისმა ენერგიამ და ნებისყოფამ ჰქნა ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ შეუძლებლად იყო მიჩნეული. სულ მცირე დროის განმავლობაში იქმნება დივიზიები, ბრიგადები და ლეგიონები, შტაბი, მომარაგების ორგანოები და მთელი ზურგი რადიკალურად იწმინდება კონტრრევოლუციური და მტრული ელემენტებისაგან. საბჭოთა და პარტიული აპარატი უმჯობესდება და წელში სწორდება. ამხანაგ სტალინის ირგვლივ თავს იყრის ძველი ბოლშევიკებისა და რევოლუციური მუშების ჯგუფი და სამხრეთში, კონტრრევოლუციური დონის ბჭესთან, ნაცვლად უმწეო შტაბისა, აღიმართება წითელი ბოლშევიკური ციხე-სიმაგრე.

ცარიცინი მაშინ სავსე იყო ყოველნაირი ჯურის კონტრრევოლუციონერებით, დაწყებული მემარჯვენე ესერებითა და ტერორისტებით და გათავებული აშკარა მონარქისტებით. ამხანაგ სტალინის გამოჩენამდე და უკრაინიდან რევოლუციური რაზმების მოსვლამდე ყველა ეს ვაჟბატონი თითქმის თავისუფლად გრძნობდა თავის თავს და ცხოვრობდა უკეთესი დღეების მოლოდინში. რათა უზრუნველყოფილიყო ფრონტზე წითელი ძალების რეორგანიზაცია, საჭირო იყო ზურგის გაწმენდა დაუნდობლად, რკინის ცოცხით. სამხედრო-რევოლუციური საბჭო, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, ჰქმნის სპეციალურ საგანგებო კომისიას და აკისრებს მას კონტრრევოლუციისაგან ცარიცინის გაწმენდას.

ზოგჯერ მტრის მოწმობა ძვირფასი და საგულისხმოა ხოლმე. აი როგორ აგვიწერს ამ პერიოდს და ამხანაგ სტალინის როლს ჩვენი მოღალატე და კრასნოველებთან გადასული პოლკოვნიკი ნოსოვიჩი (არმიის ოპერატიული სამმართველოს ყოფილი უფროსი) თეთრგვარდიელების ჟურნალში „დონსკაია ვოლნა“ 1919 წ. 3 თებერვლის თარიღით:

„სტალინის მთავარი დანიშნულება იყო ჩრდილოეთის გუბერნიების მომარაგება სურსათით; ამ ამოცანის შესასრულებლად იგი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა...

ხაზი გრიაზი — ცარიცინი საბოლოოდ გადაჭრილი იყო. ჩრდილოეთით სურსათის მიღებისა და კავშირის დაჭერის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა რჩებოდა: ეს იყო ვოლგა. მოხალისეების მიერ ტიხორეცკაიას აღების შემდეგ მდგომარეობა სამხრეთითაც ფრიად მერყევი შეიქნა. ხოლო სტალინისთვის, რომელიც თავის მარაგს მარტოდ მარტო სტავროპოლის გუბერნიიდან იღებდა, ასეთი მდგომარეობა თითქმის მისი მისიის დასასრულს უდრიდა სამხრეთში. მაგრამ, როგორც სჩანს, ისეთ ადამიანს, როგორიც სტალინია, არ სჩვევია ხელი აიღოს ერთხელ დაწყებულ საქმეზე. უნდა სიმართლე ითქვას, რომ ვერც ერთი ძველი ადმინისტრატორი ვერ დაიკვეხებს სტალინისთანა ენერგიას, ხოლო ბევრმა უნდა ისწავლოს მისგან, თუ როგორ უნდა საქმესთან და მდგომარეობასთან შეგუება.

თანდათან, იმისდამიხედვით, რაც იგი უსაქმოდ რჩებოდა, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მისი პირდაპირი ამოცანის შემცირების დაკვალად, სტალინი ერევა ქალაქის მმართველობის ყველა დარგში, უფრო კი კერძოდ ცარიცინისა და საერთოდ მთელი კავკასიის ეგრეთწოდებული რევოლუციური ფრონტის დაცვის ფართო ამოცანებში“.

შემდეგ ნოსოვიჩი ახასიათებს ცარიცინის მდგომარეობას და სწერს:

„ამ დროისთვის ცარიცინში ატმოსფერო საერთოდ მოიღუშა. ცარიცინის საგანგებო კომისია სრული ტემპით მუშაობდა, დღე ისე არ გაივლიდა, რომ თითქოს ყველაზე საიმედო და ფარულ ადგილებში სხვადასხვა შეთქმულება არ აღმოჩენილიყო. ქალაქის ყველა საპატიმრო გაივსო...

უკიდურეს დაძაბვას მიაღწია ბრძოლამ ფრონტზე...

მთავარი მამოძრავებელი და მთავარი გადამწყვეტი ყველაფერში 20 ივლისიდან სტალინი იყო. ცენტრთან უბრალო მოლაპარაკებამ პირდაპირი მავთულით იმის შესახებ, რომ საქმისათვის შეუფერებელი და გამოუსადეგარია მხარის მართვა-გამგებლობის ახლანდელი წესები, შედეგად ის გამოიწვია, რომ მოსკოვმა პირდაპირი მავთულით ბრძანება გასცა, რომლითაც სტალინი მთელი სამხედრო და... სამოქალაქო მმართველობის სათავეში დგებოდა...“

მაგრამ შემდეგ თვით ნოსოვიჩი აღიარებს, თუ რამდენად ჰქონდა საფუძველი ამ რეპრესიებს. აი რას სწერს იგი ცარიცინის კონტრრევოლუციური ორგანიზაციების შესახებ:

„ამ დროისათვის ადგილობრივი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც დამფუძნებელი კრების პლატფორმაზე იდგა, საგრძნობლად მომაგრდა; მან მიიღო ფული მოსკოვიდან და ცარიცინის განთავისუფლების საქმეში დონის ყაზახების დასახმარებლად აქტიური გამოსვლისათვის ემზადებოდა. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციის მეთაური მოსკოვიდან ჩამოსული ინჟინერი ალექსეევი და მისი ორი შვილი ნაკლებად იცნობდენ საქმის ნამდვილ ვითარებას; მათ შეადგინეს არასწორი გეგმა, რომელიც დაფუძნებული იყო სერბების ბატალიონის ჩაბმაზე აქტიურ გამომსვლელთა რიგებში. ეს ბატალიონი კი ბოლშევიკების საგანგებო კომისიასთან მუშაობდა, რის გამოც ორგანიზაცია აღმოჩენილ იქნა... სტალინის რეზოლუცია მოკლე იყო: „დახვრიტეთ“. ინჟინერი ალექსეევი, მისი ორი შვილი და მათთან ერთად ოფიცრების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელთაგან ზოგი ორგანიზაციაში ირიცხებოდა, ხოლო ზოგის შესახებ ეჭვი იყო, რომ ამ ორგანიზაციაში მონაწილეობდნენ, საგანგებო კომისიამ შეიპყრო და დაუყოვნებლივ, ყოველგვარი გასამართლების გარეშე, დახვრიტა“.

შემდეგ ნოსოვიჩი ლაპარაკობს ზურგის (ჩრდილო-კავკასიის ოლქის შტაბისა და მისი დაწესებულებების) დანიავებასა და გაწმენდაზე თეთრგვარდიელთაგან და სწერს:

„ამ გარევის დამახასიათებელი თავისებურება იყო სტალინის დამოკიდებულება ცენტრიდან მიღებულ სახელმძღვანელო დეპეშებისადმი. ტროცკი შეშფოთებული იყო იმის გამო, რომ ინგრეოდა მის მიერ ასეთი შრომით მოწყობილი მმართველობა ოლქებისა. მან გამოგზავნა დეპეშა იმის შესახებ, რომ შტაბი და კომისარიატი აუცილებლად წინანდელ პირობებში დაეტოვებინათ და მათთვის მუშაობის შესაძლებლობა მიეცათ. სტალინმა ამ დეპეშაზე კატეგორიული და მრავალმნიშვნელოვანი წარწერა გააკეთა:

„მხედველობაში არ იქნას მიღებული“.

ამგვარად ეს დეპეშა მხედველობაში არ მიიღეს და მთელი საარტილერიო და შტაბის სამმართველოს ნაწილი ახლაც ცარიცინში ბარჟაზე ზის“.

მოკლე ხანში სრულიად გამოიცვალა ცარიცინის სახე. ქალაქი, რომლის ბაღებშიაც დიდიხანი არაა, რაც მუსიკა გრგვინავდა, ქალაქი, სადაც სხვადასხვა კუთხიდან თავმოყრილი ბურჟუაზია თეთრ ოფიცრობასთან ერთად ხროვა-ხროვად აშკარად დაძრწოდა ქუჩებში, ეს ქალაქი იქცევა წითელ სამხედრო ბანაკად, სადაც ყველაფერში მეფობს უმკაცრესი წესრიგი და სამხედრო დისციპლინა. ზურგის ეს განმტკიცება დაუყოვნებლივ ახდენს სასიკეთო გავლენას იმ ჩვენი ლეგიონების განწყობილებაზე, რომელნიც ფრონტზე იბრძოდნენ. მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობა და წითელარმიელთა მთელი მასა უკვე გრძნობენ, რომ მათ ხელმძღვანელობს მტკიცე რევოლუციური ხელი, რომელიც იწვევს ბრძოლას მუშების და გლეხების ინტერესებისათვის და დაუნდობლად სჯის ყველას, ვინც კი ამ ბრძოლას ელობება.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობა კაბინეტით როდი ისაზღვრებოდა. როდესაც დამყარებულია აუცილებელი წესრიგი, როდესაც აღდგენილია რევოლუციური ორგანიზაცია, იგი მიდის ფრონტზე, რომელიც ამ დროისთვის ექვსას კილომეტრზე არის გადაჭიმული. საჭირო იყო სტალინობა და მისი უდიდესი ორგანიზატორული ნიჭი, რომ გარეშე რაიმე სამხედრო მომზადებისა (ამხანაგ სტალინს არასოდეს არ უმსახურია სამხედრო სამსახურში!..) ასე კარგად გარკვეულიყავი სპეციალურ სამხედრო საკითხებში მაშინდელ მეტისმეტად ძნელ ვითარებაში.

მშვენივრად მახსოვს 1918 წ. აგვისტოს დამდეგი. კრასნოვის ყაზახთა ნაწილები უტევენ ცარიცინს, ლამობენ კონცენტრიული დაკვრით ვოლგისკენ გადაყარონ წითელი ლეგიონები. მრავალი დღის განმავლობაში წითელი ჯარები, კომუნისტური დივიზიის მეთაურობით, რომელიც მხოლოდ დონბასის მუშებისაგან შესდგებოდა, იგერიებენ საუცხოვოდ დარაზმულ ყაზახთა ნაწილების განსაკუთრებული ძალით მოტანილ იერიშს. ეს იყო უდიდესი დაძაბულობის დღეები. უნდა გენახათ მაშინ ამხანაგი სტალინი!. როგორც ყოველთვის, დამშვიდებულს, თავის ფიქრებში ღრმად წასულს, მას დღე და ღამე არ ეძინა და თავის ფრიად ინტენსიურ მუშაობას ანაწილებდა საბრძოლო პოზიციებსა და არმიის შტაბს შორის. მდგომარეობა ფრონტზე თითქმის კატასტროფული ხდებოდა. კრასნოვის ნაწილები, ფიცხალაუროვის, მამონტოვის და სხვათა უფროსობით, კარგად მოფიქრებული მანევრით ავიწროებდნენ ჩვენს დაქანცულ ჯარებს, რომელნიც

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ).

---

* ამოღებულია ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სტატიიდან „სტალინი და წითელი არმია“.

# ცარიცინი

(დასასრული)

ულიდეს ზარალს განიცდიდნენ. მოპირდაპირის ფრონტი, აგებული ნალისებურად, რომელიც თავის ფლანგებით ვოლგას ებჯინებოდა, დღითი დღე უფრო და უფრო იკუმშებოდა.

ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვქონდა. მაგრამ სტალინი ამისათვის არც ზრუნავდა. იგი გამსჭვალული იყო ერთი შეგნებით, ერთადერთი ფიქრით — გაემარჯვენა, დაემარცხებინა მტერი, რათაც არ უნდა დაჯდომოდა. და სტალინის ეს ურყევი ნებისყოფა გადადიოდა მის ყველა უახლოეს თანამებრძოლზე და მიუხედავად თითქმის გამოუვალი მდგომარეობისა, არავინ არ იყო დაეჭვებული გამარჯვებაში.

და ჩვენ გავიმარჯვეთ. განადგურებული მტერი შორს დონისკენ გადავრეკეთ.

# გმირული ეპოპეა დამთავრებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხანაგები: პაპანინი, კრენკელი, ფედოროვი და შირშოვი.

## პაპანინს, შირშოვს, კრენკელს, ფედოროვს

ვოცვილოცავთ პასუხსაგები დავალების წარმატებით შესრულებას. მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს თქვენი გმირული მუშაობით. მოველით თქვენს დაბრუნებას მოსკოვში.

ძმური სალამი!

| | |
|---|---|
| ი. სტალინი | ა. ანდრეევი |
| ვ. მოლოტოვი | ს. კოსიორი |
| კ. ვოროშილოვი | ა. ჟდანოვი |
| ლ. კაგანოვიჩი | ნ. ეჟოვი |
| მ. კალინინი | გ. პეტროვსკი |
| ა. მიქოიანი | რ. ეიხე |
| ვ. ჩუბარი | ნ. ხრუშჩოვი |

## ოსტალცევს, ბარსუკოვს, კოტცოვს „ტაიმირისა" და „მურმანის" კომანდებს

მიიღეთ ჩვენი მადლობა და მთელი საბჭოთა ხალხის მადლობა პაპანინის სახელოვანი ექსპედიციისათვის დახმარების ალვოჩენის ამოცანის ბრწყინვალედ შესრულების გამო.

ვამაყობთ თქვენი მამაცური და თავდადებული მუშაობით.

ძმური სალამი!

| | |
|---|---|
| ი. სტალინი | ა. ანდრეევი |
| ვ. მოლოტოვი | ს. კოსიორი |
| კ. ვოროშილოვი | ა. ჟდანოვი |
| ლ. კაგანოვიჩი | ნ. ეჟოვი |
| მ. კალინინი | გ. პეტროვსკი |
| ა. მიქოიანი | რ. ეიხე |
| ვ. ჩუბარი | ნ. ხრუშჩოვი |

## ამხანაგებს სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, ლ .მ .კაგანოვიჩს, კალინინს, მიქოიანს, ჩუბარს, ანდრეევს, კოსიორს, ჟდანოვს, ეჟოვს.

### ყინულმჭრელი „ერმაკი"—შმიდტს

უსაზღვროდ ბედნიერი ვართ გიპატაკოთ ჩვენთვის დაკისრებული დავალების შესრულება. ჩრდილოეთის პოლუსიდან ჩრდილოეთი განედის 75 გრადუსამდე ჩვენ მთლიანად ჩავატარეთ ყველა დასახული გამოკვლევა და შევაგროვეთ ძვირფასი მეცნიერული მასალა ყინულის დრეიფის, ჰიდროლოგიისა და მეტეოროლოგიის შესასწავლად, მოვახდინეთ მრავალრიცხოვანი საგრავიტაციო და მაგნიტური გაზომვანი, შევასრულეთ ბიოლოგიური გამოკვლევები.

1 თებერვალს, როდესაც 74 გრადუსზე ჩვენი ყინულოვანი ველი ნაწილებად დასკდა, ჩვენ განვაგრძობდით ამ პირობებში ყველა შესაძლო დაკვირვებას. გულდამშვიდებით ვმუშაობდით, ერთი წუთითაც არ გვაფიქრებდა ჩვენი ბედი ვიცოდით, რომ ჩვენი მძლავრი სამშობლო, გზავნის რა თავის შვილებს, არასოდეს არ დასტოვებს მათ. პარტიის, მთავრობის, ძვირფასი ამხანაგი სტალინის და მთელი საბჭოთა ხალხის მხურვალე ზრუნვა და ყურადღება ჩვენდამი მუდამ გვამხნევებდა ჩვენ და ამან უზრუნველჰყო მთელი მუშაობის წარმატებით ჩატარება. ამჟამად ჩვენ ვტოვებთ ყინულის ველს კოორდინატებზე: ჩრდილოეთის 70 გრადუსზე 54'-ზე, აღმოსავლეთის 19 გრადუსზე 48'-ზე, გავიარეთ რა დრეიფის 274 დღე-ღამეში 2.500 კილომეტრზე მეტი. ჩვენმა რადიოსადგურმა პირველმა გადასცა ცნობა ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობის შესახებ, იგი უზრუნველჰყოფდა საიმედო კავშირს სამშობლოსთან და ამ დეპეშით ამთავრებს თავის მუშაობას.

ჩვენი ქვეყნის წითელი დროშა განაგრძობს ფრიალს ყინულოვან სივრცეებზე.

**პაპანინი,**
**კრენკელი,**
**შირშოვი,**
**ფედოროვი.**

„ჩრდილოეთის პოლუსი",
15 საათი 55 წუთი.

**რ. ფალავანდიშვილი**

# გ მ ი რ ე ბ ი

„ჩრდილოეთის პოლუსი მიუღწეველია" — ასეთი დეპეშა გაუგზავნა ადმირალმა ნერსმა ბრიტანეთის სადმირალოს.

„სასარგებლო იქნებოდა ხელი აგვეღო პოლუსის მიღწევისა და პოლარულ გამოკვლევათა ყოველგვარ ცდაზე მანამდე, სანამ ჩვენ შესაძლებლობა გვექნება გავგზავნოთ იქ უმწეო **საზღვაო** გემების მაგივრად **საჰაერო** გემები" — ასე სწერია ავსტრიელი მეცნიერის პაიერის წიგნში, რომელიც მან დასწერა 1872-74 წლებში არქტიკაში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ.

1896 წელს პოლარელმა მკვლევარმა ფრიტიოფ ნანსენმა, თავისი ხის გემით— „ფრამით" მიაღწია იმ დროისათვის სარეკორდო ჩრდილოეთის განედის — 85 გრადუსსა და 57 წუთს, პოლუსს კი 400-ზე მეტი კილომეტრით იყო დაშორებული. ერთი წლის შემდეგ შვედელმა ს. ანდრემ და მისმა თანამგზავრებმა ნ. სტრინდბერგმა და კ. ფრენკელმა საჰაერო ბურთით სცადეს პოლუსის მიღწევა; — ეს ცდა მათი დაღუპვით დამთავრდა.

1909 წლის 6 აპრილს, 25 წლის ჟინიანი შეუპოვარი შრომის შემდეგ. მარხილში შებმული ძაღლების საშუალებით გრანტის მიწიდან ჩრდილო პოლუსს მიაღწია ამერიკელმა რობერტ პირიმ. პოლუსზე მისი ყოფნა სულ რამდენიმე საათს გაგრძელდა.

1926 წლის 9 მაისს პოლუსზე რამდენიმე წრე გააკეთა ამერიკელმა მფრინავმა ბერდმა. იმავე წლის 12 მაისს პოლუსზე დაახლოვებით ერთ საათს იფრინა ამუნდსენმა დირიჟაბლ „ნორვეგიათი". 1928 წლის 23 მაისს ამუნდსენმა დირიჟაბლ „იტალიათი" კიდევ მიაღწია ჩრდილო პოლუსს, მაგრამ უკან გამობრუნების დროს ავარია განიცადა და ეკიპაჟის 15 კაციდან 6 დაიღუპა, მათ შორის ამუნდსენიც.

ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობის ცდას ასეული წლების ისტორია აქვს. მრავალი ექსპედიცია მოეწყო პოლუსისაკენ, მაგრამ იგი ან კატასტროფით, ან უშედეგოდ მთავრდებოდა.

1937 წლის 21 მაისს, 11 საათსა და 35 წუთზე მოსკოვის დროით, საბჭოთა კავშირის გმირმა მ. ვოდოპიანოვმა მძიმე საჰაერო ხომალდით ჩრდილო პოლუსზე მიიყვანა 4 მამაცი მკვლევარი — პაპანინი, კრენკელი, შირშოვი და ფედოროვი. 26 მაისს მათთან მიფრინდა კიდევ საბჭოთა 3 ხომალდი, რომელთაც ჩაიტანეს მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო მოწყობილობა და საჭურველი.

მხოლოდ სტალინის ეპოქის ადამიანებმა შესძლეს არქტიკის დაპყრობა, პოლუსის მიღწევა და იქ ნამდვილი მეცნიერული მუშაობის წარმოება.

მოეწყო მეცნიერული საკვლევო სადგური „ჩრდილო პოლუსი". გმირულმა ოთხეულმა, არ შეუშინდნენ რა ისინი არქტიკის მკაცრ ბუნებას, შორს, წინად უკაცურს მიდამოებში, დაიწყეს მეცნიერული მუშაობა.

საბჭოთა ქვეყნის მიერ არქტიკის დამორჩილებამ მთელი მსოფლიო გააკვირვა. ჩრდილო პოლუსი, რომელიც წინად მიუღწეველ ადგილად ითვლებოდა, საბჭოეთის გმირებმა გზათ და მეცნიერული მუშაობის სადგურად გამოიყენეს. ჩრდილო პოლუსზე, მეცნიერული „დესანტის" გადასხმიდან ერთი თვის შემდეგ, კვლავ აგუგუნდა საბჭოთა თვითმფრინავის მოტორი — ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი პირველად ისტორიაში, ჩრდილო პოლუსზე გავლით, ძირს დაუშვებლად გადაფრინდნენ მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში. მსოფლიოში პირველად იქნა ჩატარებული საჰაერო რეისი მთელ არქტიკაზე გავლით, რაც წინად ფანტასტიურად წარმოედგინათ.

რამდენიმე კვირის შემდეგ გრომოვმა იუმაშევმა და დანილინმა მოახდინეს კიდევ უფრო შესანიშნავი ტრანსპოლარული გადაფრენა მარშრუტით — სსრ კავშირი — ამერიკის შეერთებული შტატები და დაამყარეს შორს ფრენის ახალი მსოფლიო რეკორდი.

გმირულმა ოთხეულმა 274 დღე გაატარა მოდრეიფე ყინულზე. დრეიფმა პაპანინის ბანაკი გრენლანდიის ზღვაში ჩაიტანა. პაპანინელები თავიანთი პირვანდელი დაბინავების ადგილს 2500 კილომეტრით დაშორდნენ.

25 იანვრიდან გრენლანდიის ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა, რამაც გააუარესა პაპანინელთა ყინულის მდგომარეობა— მან მსხვრევა იწყო. საბჭოთა ქვეყნის ეს ადამიანები, ყოველგვარი პანიკისა და შიშის გარეშე გადავიდნენ ყინულის სხვა ნატეხზე, გადაარჩინეს ყოველგვარი მასალა და მეცნიერული ნიმუშევარი და კვლავ განაგრძეს დაწყებული საქმე.

ყინულის ცუდმა მდგომარეობამ დააჩქარა პაპანინელთა გადმოყვანის ოპერაცია. შეიქმნა ექსპედიცია, რომლის უფროსად ამხ. ო. ი. შმიდტი დაინიშნა. პირველი თებერვლიდან უკვე საბჭოთა ყინულმჭრელები „მურმანი" მურმანეცი", „ტაიმირი" და „ერმაკი" წარმატებით მიიწევდნენ „ჩრდილო პოლუსის" სადგურისაკენ. 19 თებერვალს სრულ 13 საათსა და 30 წუთზე ყინულმჭრელები „მურმანი" და „ტაიმირი" ბანაკს მიადგნენ და გმირი პოლარელები მშვიდობიანად გადმოიყვანეს გემბანზე. ყინულმჭრელები გამოემართნენ მშობლიური მიწის ნაპირებისაკენ, არქტიკის გმირებს მალე ჩაიკრავს გულში საბჭოთა ქვეყანა.

„274 დღე გრძელდებოდა ეს მკაცრი, წარმტაცი ეპოპეა, რომელმაც შესძრა მსოფლიო თავის უსაზღვრო სიდიადით, გამბედაობით, სიცხადით და მიზნის დაჟინებითი მიღწევით. მთელი პროგრესიული კაცობრიობა ულოცავს საბჭოთა კავშირს ახალ გამარჯვებას მეცნიერების ფრონტზე, ალტაცებით ტაშს უკრავს. პაპანინს, შირშოვს კრენკელს, ფედოროვს, რომელთა გმირობაც გადაეცემა საუკუნეებს, რომელთა სახელებიც სამუდამოდ დარჩება კაცობრიობის ისტორიის ანალებში" („პრავდა").

პაპანინელებმა ბევრი ახალი რამ შესძინეს მეცნიერებას. არავინ იცოდა პოლარული ბასეინის ცენტრში შედარებით თბილი წყლის ფენის არსებობა — ეს შირშოვმა აღმოაჩინა. პაპანინელებმა გააბათილეს ნანსენის ჰიპოთეზა პოლუსის უსიცოცხლობის შესახებ. მათ შესძლეს დაეჭირათ ოკეანეში პოლუსის ახლო რაიონის წყლის ფაუნის წარმომადგენლები. მათვე გამოარკვიეს, რომ მაგნიტური მერიდიანი გრინვიჩის მერიდიანისაგან გადახრილია 41 გრადუსით დასავლეთისაკენ.

გმირული ეპოპეა დამთავრებულია. „მოდრეიფე სადგურის — „ჩრდილო პოლუსის" გმირულმა მუშაობამ განუმტკიცა საბჭოთა ქვეყანას ბატონობა არქტიკის უნაპირო სივრცეებზე. ჩრდილოეთის პოლუსი არის და რჩება საბჭოების პოლუსად" („პრავდა").

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამდენიმე ხნის წინად თბილისში დამთავრდა მარქს-ენგელს ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის აგება
სურათზე ფილიალის შენობა რუსთაველის პროსპექტზე

# სიკვდილი ხალხის მტრებს

28 თებერვალს დღის სამ საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა მიტინგი, რომელმაც მოისმინა ამხ. კოპალეიშვილის ინფორმაცია სსრ კავშირის შინსახკომის ორგანოების მიერ აღმოჩენილ შეთქმულთა ჯგუფის მოქმედების შესახებ, რომელსაც ეწოდებოდა — „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი".

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: პროფ. გოგიბერიძე, ასპ. ლომსაძე სტუდენტები: კილაძე, ბოლქვაძე და სხვები, რომლებიც აღნიშნავდნენ:

სამგზის წყეულნი და გარეწართა ეს ჯგუფი — ნ. ი. ბუხარინი, ა. ი. რიკოვი, გ. გ. იაგოდა, ნ. ნ. კრესტინსკი, ე. გ. რაკოვსკი, ა. პ. როზენგოლცი, ვ. ი. ივანოვი, მ. ა. ჩერნოვი, გ. ფ. გრინკო, ი. ა. ზელენსკი ს. ა. ბესონოვი, ა. იკრამოვი, ფაიზულა ხოჯაევი, ვ. ფ. შარანგოვიჩი, პ. ტ. ზუბარევი, პ. პ. ბულანოვი, ლ. გ. ლევინი, დ. დ. პლეტნევი, ი. ნ. კაზაკოვი, ვ. ა. მაქსიმოვ-დიკოვსკი და პ. პ. კრიუჩკოვი, როგორც გამოძიებიდან დადასტურებულია, მოეწყო სსრ კავშირისადმი მტრულად განწყობილი უცხოეთის სახელმწიფოების დაზვერვათა დავალებით და თავის მიზნად დაისახა ჯაშუშობა უცხოეთის სახელმწიფოთა სასარგებლოთ, მავნებლობა დივერსიები, ტერორი, სსრ კავშირის სამხედრო ძლიერებისათვის ძირის გამოთხრა, სსრ კავშირზე ამ სახელმწიფოთა სამხედრო თავდასხმის პროვოკაცია, საბჭოთა კავშირის დამარცხება და კაპიტალიზმის აღდგენა.

მავნებელთა ეს ხროვა იყენებდა მავნებლობის ყველაზე საზიზღარ ფორმებს. მოაწყვეს და განახორციელეს ვ. ვ. კუიბიშევის, ვ. რ. მენჟინსკის და ა. მ. გორკის ვერაგული მოკვლა. შეთქმულების მონაწილეების — ექიმების ლ. გ. ლევინის, ი. ნ. კაზაკოვის, ა. ი. ვინაგრადოვის და პროფესორ დ. დ. პლეტნევის დახმარებით. დადასტურებულია აგრეთვე, რომ ს. მ. კიროვის ვერაგული მოკვლა ტროცკისტ-ზინოვიევური ცენტრის მიერ ჩადენილი იყო „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" გადაწყვეტილებით.

მიტინგის მთელი შემადგენლობა ერთხმად მოითხოვს ფაშიზმის ამ გაცოფებული აგენტების ფიზიკურად განადგურებას.

მიტინგი სიტყვას იძლევა, რომ უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი კიდევ უფრო მჭიდროდ, მეტი ენერგიით, მეტი ენთუზიაზმით დაირაზმება პარტიისა და ხელისუფლების გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის მშობლიური სტალინის გარშემო. კიდევ უფრო გაამახვილებს შეტევითი რევოლუციურ სიფხიზლეს, ამხელს და ფიზიკურად გაანადგურებს ხალხის მტრებს რა ნიღაბშიაც არ უნდა იყვნენ გახვეულნი.

უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი კიდევ უფრო მეტის ენერგიით იბრძოლებს იმისათვის, რომ მისცეს ჩვენს ქვეყანას საუკეთესო, მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც მთელ თავის ენერგიას შესწირავენ ლენინ-სტალინის დიად საქმეს.

## რა გვიშლის ხელს
### (სახუნტის სტამბა-ლიტოგრაფია)

სახ. უნივერსიტეტის სტამბა-ლიტოგრაფიას, რომელიც 1934 წლიდან არსებობს, საკმაო მიღწევები აქვს. გასული წლის საწარმოო გეგმა სტამბამ გადაჭარბებით შეასრულა. 1937 წელში სხვა და სხვა სამეცნიერო შრომების გარდა, გამოიცა რუსულ-ქართული ლექსიკონი (75 ფორმა) და „ვეფხის ტყაოსნის" აკადემიური გამოცემა.

სტამბას ნაკლოვანებებიც ახასიათებს, რაც ხელს უშლის გეგმის კიდევ მეტად შესრულებას. — საასოთამწყობო ცეხში არ არიან გადამრჩევები (რომლებმაც უნდა ჩაარჩიონ აწყობილი მასალები). ამის გამო ასოთამწყობები იძულებული არიან თითონ გადაარჩიონ მასალა, ანდა თითო-თითო ნიშანი ეძებონ.

გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და სტახანოვური მუშაობისათვის საგზურით დააჯილდოვეს ასოთამწყობები ყაზაროვი და ჩირაძე, მაგრამ ყაზაროვს ჯერაც არ მიუღია ეს ჯილდო.

სტამბის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს დეფექტების ლიკვიდაციისათვის.

**სტახანოველი.**

## სათხილამურო გადასვლა
### ბაკურიანი-თბილისი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, 22-27 თებერვალს, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის 20 წლის და საქართველოს გასაბჭოების 17 წლის თავის ზეიმთან დაკავშირებით მოაწყო სტუდენტთა სათხილამურო გადასვლა ბაკურიანი-თბილისის მარშრუტით.

გადასვლაში მონაწილეობდა: 10-სტუდენტი და ერთი პროფესორი — ბორის ყიზილბაში.

სათხილამურო გადასვლის კომანდორი იყო სტუდენტი გენადი ბასილაძე. მიუხედავათ, იმისა, რომ გადასვლის მონაწილეებს მრავალი დაბრკოლება ელობებოდათ, მაინც აღტყინებით განაგრძნობდნენ სვლას. მათ გულს აღფრთოვანებდა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინის** სახელი და პარტიისა და მთავრობის უდიდესი მზრუნველობა.

სათხილამურო გადასვლის მონაწილეებმა ბაკურიანიდან აიღეს სტარტი. მათ 5 დღეში თხილამურებით გაიარეს 200 კილომეტრზე მეტი. მათი მარშრუტი იყო: ბაკურიანი — ტაბაწყური ცხრაწყაროს გადასასვლელი — კიში — ბარმაქსიზი — მანგლისი — პრიუტი — წყნეთი — თბილისი.

27 თებერვალს საღამოს 7 საათსა და 5 წუთზე უნივერსიტეტის ეზოში შესდგა გადასვლის ფინიში. მეთხილამურეებს მხურვალე შეხვედრა მოუწყო უნივერსიტეტის სტუდენტობამ, პროფესორებმა და ადმინისტრატიულ-ტექნიკურმა პერსონალმა.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოსთქვეს გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ შალვა სანიკიძემ, მსოფლიო რეკორდსმენმა დიმიტრი იოსელიანმა და გადასვლის მონაწილეებმა ვლასი გრძელიშვილმა და ოთარ გიგინეიშვილმა.

გადასვლის მონაწილეებმა (მათ შორის ერთი ქალია) დაამტკიცეს, რომ ისინი მზად არიან მოაწყონ ბევრად უფრო რთული ლაშქრობა, როცა ამას სამშობლოს დაცვის ინტერესი მოითხოვს.

**ივანე მარაქველიძე.**

## მხოლოდ 61 ფრიადოსანი

ბიოლოგიური ფაკულტეტის სამკუთხედმა დროზე არ დაიწყო მზადება საზამთრო სესიებისათვის. სესიების ცხრილი გამოცდის დაწყებამდე 15 დღით ადრე გამოაკრეს, ეს რა თქმა უნდა, გვიან იყო, რადგან ზოგ ჯგუფს 4-5 საგანი ქონდა ჩასაბარებელი და ორ კვირაში მათი ხარისხიანად მომზადება შეუძლებელი იყო.

სესიებისათვის მზადებაში სუსტად მონაწილეობდნენ კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. ისინი არავითარ დახმარებას არ უწევდნენ სტუდენტებს. ზოგი სტუდენტი (სუხიშვილი, მგალობლიშვილი, ნაკაიძე) სესიების დროს ავად იყო; მათ ახლაც ჩაუბარებელი აქვთ საგნები. კომკავშირის ორგანიზაცია კი არ ზრუნავს მათს ხელის შეწყობაზე, რომ დავალიანება უახლოეს ხანში დაფარონ.

ფაკულტეტის კომკავშირის ბიურომ ჯერ არ იცის თუ რამდენ კომკავშირელს დარჩა საგანი ჩასაბარებელი. ასეთივე უდარდელობას იჩენს პროფორგანიზაციაც.

სოცშეჯიბრების გაშლას აქ ფორმალურად მოეკიდნენ. ყველა სტუდენტი არ არის ჩაბმული შეჯიბრში და ვინც არის მათაც ზერელე და არაფრისმთქმელი „ხელშეკრულებები" აქვთ დაწერილი.

ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას. არიან ჯგუფები, რომლებიც სწავლისა და საზოგადოებრივი მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. მაგალითად გასამხედროებული ჯგუფის 16 სტუდენტიდან 12 ფრიადოსანია. ასეთივეა 125 ჯგუფიც. არიან ჩამორჩენილებიც მაგ.: 196 და 197 ჯგუფები. მათი ჩამორჩენა სტუდენტთა უდისციპლინობითა და გაცდენებითაა გამოწვეული.

ყველა ამ მიზეზის გამო, ბიოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელსაც 317 სტუდენტი ყავს, მხოლოდ 61 კაცია ფრიადოსანი. ფაკულტეტის საერთო ნიშანი კი 3,82 უდრის.

ბიოლოგიური ფაკულტეტის სამკუთხედმა დროზე უნდა იზრუნოს აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

**ი. ბ—ძე.**

## მუშაობა გაუარესდა

ფიზკულტურული მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ ბოლო დროს გაუარესდა. გასულ წელს მუშაობდა რამოდენიმე წრე: ფარიკაობის, ფრანგული ჭიდაობის, სიმძიმეების აწევის კრივის და სხვა.

მიმდინარე წელს სახუნტის პირველობაზე არც ერთი შეჯიბრება არ ჩატარებულა. უფრო მეტიც ზოგიერთი სექციის მუშაობა სრულიად ჩაშლილია (სიმძიმის აწევა, კრივი, ფარიკაობა), რის გამოც სტუდენტები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. ამ მდგომარეობას ყურადღებას არავინ აქცევს.

საჭიროა განახლდეს და გაძლიერდეს აღნიშნული სექციების მუშაობა რათა ფიზკულტურით დაინტერესებულ სტუდენტებს საშუალება მიეცეთ იმუშაონ წრეებში.

**ბ.—ა.**



ისტორიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტი ნოე ჯიბლაძე.

# ჩვენ გვწერენ

—:—

## ხელს გვიშლიან

სტუდენტთა ქალაქის მე-6 კორპუსის ზოგი სტუდენტი წესრიგს არღვევს. ღუმელის რკინის მილზე, რომელიც ყველა ოთახშია შეერთებული, უდისციპლინო სტუდენტები აკაკუნებენ და მთელ კორპუსში ხმაურობა ისმის.

გარდა ამისა, სამკითხველოს წინ ყოველთვის აურზაურია. კომენდანტმა სამხარაძემ ზომები უნდა მიიღოს წესრიგის დასამყარებლად.

**ვ. ფონია.**

## ლექცია ცდება

ეკონომიური ფაკულტეტის 182 ჯგუფი რუსული ენის სწავლების დროს ორ ნაწილადაა გაყოფილი (სუსტები და ძლიერები) და ლექციები სხვა და სხვა დროს ეკითხებათ. დეკანატმა მხოლოდ ერთი ნაწილისათვის გამოყო აუდიტორია, მეორე ნაწილს კი აუდიტორიის უქონლობის გამო სისტემატურად უცდებათ საათები.

რას ფიქრობს დეკანატი?

**ს. დონდუა.**

## კულტმასობრივი მუშაობა დაივიწყეს

სტუდენტთა ქალაქის მე-6 კორპუსში არავითარი კულტმასობრივი მუშაობა არ სწარმოებს. გასულ წელს კორპუსში ჩამოყალიბებული იყო მომღერალთა გუნდი, სასულე ორკესტრისა და ლიტერატურის წრეები, მაგრამ წელს არავის გახსენებია მუშაობის განახლება.

კულტმუშაკმა გ. შარიქაძემ მუშაობის გარდაქმნაზე უნდა იზრუნოს.

**ი. ძე.**

## რატომ არ ცვლიან სტუდენტთა ბილეთებს

სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა უმრავლესობის სტუდ. ბილეთებს ვადა გასული აქვს. ფაკულტეტებმა მხოლოდ რამდენიმე სტუდენტს გამოუცვალეს ბილეთები. წესის მიხედვით, ბილეთებში უნდა აღინიშნოს, კურსიდან კურსზე გადასვლა, მაგრამ ამისათვის თავს არავინ იწუხებს.

საჭიროა ამ ნაკლის დროზე აღმოფხვრა.

**ი. მარაქველიძე.**

## გამოხმაურება

გასული წლის 29 დეკემბრის ჩვენი გაზეთის ნომერში მოთავსებული იყო ალ. ფანჩულიძის კორესპონდენცია, რომელიც 174 ჯგუფის ხელმძღვანელის — კოტე ლოლაძის დაუდევრობას ეხებოდა.

ეკონომიური ფაკულტეტის პროფკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ გვაცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა და ლოლაძის საქმე გადაეცა რექტორატს.

პასუხისმგებელი რედაქტორი გრ. გელბახიანი.

ტირაჟი — 4000 სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლიტოგრაფია, მარის ქ. № 1. მთავლიტის რწმუნებული — 2125.